



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

MIA8190001/319

1/319



12/07/2019

კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის მონშობის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 თებერვლის №18 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 17¹ მუხლის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს კერძო დაცვითი ორგანიზაციის მცველის მონშობის (შემდგომში – მცველის მონშობა) თანდართული ფორმა.
2. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სსიპ – „112“-ს მცველის მონშობის წარმოება და გაცემა 1 (ერთი) წლის ვადით.
3. კერძო დაცვითი ორგანიზაცია ვალდებულია, სსიპ – „112“-ს:
 - ა) ჩააბაროს ვადაგასული ან ვადაზე აღრე ჩამორთმეული მცველის მონშობა;
 - ბ) წერილობით აცნობოს მცველის მონშობის დაკარგვის თაობაზე.
4. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემული მცველის მონშობა ძალაშია მისი მოქმედების ვადის ამონურვამდე.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცველის მონშობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 6 აპრილის №476 ბრძანება.
6. ბრძანება გაეცნოს სამინისტროს ადმინისტრაციისა და სსიპ – 112-ის ხელმძღვანელებს.
7. სამინისტროს ადმინისტრაციამ (დეპარტამენტი) უზრუნველყოს ამ ბრძანების სამინისტროს ვებგვერდზე (info.police.ge) გამოქვეყნება.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებული პირისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მცველის მოწმობა

3X4

სახელი გვარი

კერძო ღაცვითი ორგანიზაციის დასახელება

მცველი

სსიპ „112“

უფლებამოსილი პირი: _____

ძალაშია: 00/00/0000